

გაზეთი ბეჭდის, „ვერსიას“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი


№18 (1044) 18 - 19 თებერვალი, 2015 წელი

ვახტანგ გომელაურმა გაერო-ს განვითარების პროგრამასა და ევროკავშირის პროექტს მონაწილე სული



უსს-მ „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ თანაგმროვლები დიდი ოდენობით მონაწილე მითვისებები ახილა **გვ. 2**

ექსკლუზიური ინტერვიუ პრეზიდენტის მიერ დასახელებულ კანდიდატთან



ნინო გვენეტაძე:
„იმის გარანტი ვიქნები, რომ მოსამართლეებს არავინ შეეხება“

გვ. 3

ვინ შეცვლის კოფე კუბდაშვიდს და დაუქერს თუ არა პარდამენტი მხარს მარგვედაშვიდის კანდიდატს



„საქართველოს ეკონომიკა რიხში მთავრობის სუსტი მენეჯმენტის გამო შევიდა“

გვ. 5

საქართველოს გადარჩენის რა 36 ნაბიჯს სთავაზობს ხელისუფლებას და ემზადება თუ არა ვადამდელი არჩევნებისთვის წაციონადური მოძრაობა

„პრეზიდენტის კანდიდატურის ჩაბლებას არ ვაპირებ“

გვ. 4

როგორ შეხვდა უმრავლესობა ნინო გვენეტაძის დასახელებას და რისკენ მოუწოდებს დეპუტატებს „ფორუმელი“ ანუ მიროცაძე



გვ. 2

თიბისი ბანკი
TBC BANK

ბოლო ხუთ წელში 150 მილიონი დარის ენერგოპროექტი დააფინანსა

გვ. 6

დაღმამიწვილების
გეგმვების აღსარება


„ვაკის პარკის“ აფხაზური ნოსტალგია

რა მიზნით უძღვნი სხად სიმღერას ბაზა ხუციშვიდი აფხაზეთის მოსახლეობას და რა პრობლემები შეუქმნეს ექსპრეზიდენტ სააკაშვიდის შვიდის მასწავლებელს



გვ. 9

სოლ-ქეარმა „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კუთვნილი 2 227 887 ლარი უკანონოდ მიითვისა



2015 წლის 4 თებერვალს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციულ სააგენტოში საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროდან შემოვიდა მასალები საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში 2013-2014 წლებში თანხების შესაძლო მითვისების ფაქტები დაკავშირებით, რის საფუძველზეც, იმავე დღეს დაიწყო გამოძიება საქართველოს სს.კ.-ს 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2012 წლის 21 დეკემბრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე თამარ ფხოველიშვილი შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“ მუშაობდა ფინანსური დეპარტამენტის

ხელმძღვანელ თანამდებობებზე, მათ შორის, დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე და განკარგავდა კომპანიის თანხებს, მასვე ჰქონდა ორგანიზაციის ყველა ანგარიშზე სრული წვდომა.

2013 წლის დასაწყისში თამარ ფხოველიშვილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით განიზარაბა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“ კუთვნილი, დიდი ოდენობით თანხის მართლსაწინააღმდეგოდ მითვისება. მან დანაშაულებრივი განზრახვა გაანდო მეულღეს, ზურაბ წულუბიძეს, რომელთან ერთადაც ჩამოაყალიბა ორგანიზებული ჯგუფი. ისინი შეთანხმდნენ, რომ თანხის მისათვისებლად სხვადასხვა პერიოდში გამოიყენებდნენ როგორც თამარ ფხოველიშვილის სახელზე

გახსნილ პირად ანგარიშს, ასევე ზურაბ წულუბიძის მიერ ფორმალურად, მესამე პირებზე დარეგისტრირებული ორგანიზაციებისა და მისივე სახელზე დარეგისტრირებული ფორმის ანგარიშებს, რომლებზეც წყალმომარაგების კომპანიის ანგარიშიდან უკანონოდ გადაირიცხებოდა დიდი ოდენობით თანხები.

თამარ ფხოველიშვილი და ზურაბ წულუბიძე, განზრახვის შესაბამისად, 2013 წლის 31 მარტიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ანგარიშიდან შემომითითებულ, მათ კონტროლირებად ანგარიშებზე, თითქოსდა წყალმომარაგების კომპანიისათვის განეული მომსახურების სანაცვლოდ, ჯამში 2 227 887 ლარი უკანონოდ გადაირიცხეს და მიითვისეს.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ 2013-2014 წლების პერიოდში თამარ ფხოველიშვილი და ზურაბ წულუბიძე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხებით შეიძინეს ორი ძვირადღირებული ავტომანქანა და ბინა, რომელიც გამოძიებამ დააყადალა.

2015 წლის 13 თებერვალს ზურაბ წულუბიძე დააკავეს, 2015 წლის 15 თებერვალს მას წარედგინა ბრალდება, ხოლო თამარ ფხოველიშვილს დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება, გათვალისწინებული საქართველოს სს.კ.-ს 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, რაც სასჯელის სახით 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალდებულებს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

გამოძიების მიერ მიღებულია ყველა შესაძლო ზომა თამარ ფხოველიშვილის ადგილსამყოფელის დასადგენად, ასევე, გამოძიება გრძელდება დანაშაულის სხვა შესაძლო თანამონაწილე პირთა გამოსავლენად.

„ვერსიანიუსი“



შინაგან საქმეთა მინისტრმა გაერო-ს განვითარების პროგრამასა და ევროკავშირის პროექტს მონაწილე სელი

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა გაერო-ს განვითარების პროგრამისა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის მიმართულ საინიციატივო მიერ განხორციელებული საქმიანობა, არსებული საჭიროებები და გამოწვევები, თანამშრომლობის სამომავლო გეგმები.

შეხვედრის დასასრულს შედგა პროექტის – „საქართველოსა და აზერბაიჯანის შორის სახმელეთო საზღვრის დაცვის კოორდინაციის გაუმჯობესება“ – ხელმოწერის ოფიციალური ცერემონია. პროექტის დოკუმენტს ხელი მოაწერეს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა და საქართველოში გაერო-ს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა ნილს სკოტმა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის განხორციელება 2014 წლის ბოლოს გაერო-ს განვითარების პროგრამის მიერ დაიწყო.

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრის დაცვის უწყვეტების ოპერატიული შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და თანამშრომლობის გაღრმავებას, აგრეთვე, ევროკავშირის მიერ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის დაცვის სფეროში.

„ვერსიანიუსი“

ენერჯეტიკა

თიბისი ბანკის ორგანიზებითა და ენერჯეტიკის სამინისტროს მხარდაჭერით, 17 თებერვალს, თიბისი ბანკის საკონფერენციო დარბაზში, ენერჯეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ გახსნა და აღნიშნა, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა ქვეყანამ ენერჯეტიკის განვითარებას მიაღწიოს. ენერჯეტიკის მინისტრის, კახა კალაძის, საპარტნიორო ფონდის, საქართველოში მოქმედი ყველა ძირითადი ენერჯეტიკის კომპანიის, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკ „იზიარდის“ და USAID-ის წარმომადგენლები დაესწრნენ.

თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის, ვახტანგ ბუცხრაძის განმარტებით, ენერჯეტიკის მინისტრის, კახა კალაძის, საქართველოს ენერჯეტიკის სფეროში არსებული გამოწვევებისა და სამომავლო განვითარების პერსპექტივების განხილვა. მისივე თქმით, ენერჯეტიკის ფარგლებში, მთავრობის წარმომადგენლებმა, სექტორის ძირითადმა მოთამაშეებმა და დარგის სპეციალისტებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს: „ენერჯეტიკა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი წარმატებული დარგია. ვფიქრობ, დღევანდელი კონფერენცია ხელს შეუწყობს ახალი გეგმების წამოწყებასა და აზრების დაახლოებას. ენერჯეტიკის განვითარება მოცულობა, სრულად წარმოგვეჩინა საქართველოს ენერჯეტიკის ინდუსტრიაში არსებული შესაძლებლობები და გამოწვევები, როგორც მარეგულირებელი ორგანოების, ასევე საქართველოსა და უცხოეთში, ენერჯეტიკის სფეროში მოღვაწე კომპანიების წარმომადგენელთა თვალთ. აღსანიშნავია, რომ ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას თიბისი ბანკი მასპინძლობს, რადგან საქართველოს ენერჯეტიკის განვითარებაში საბანკო სექტორის როლი უმნიშვნელოვანესია“.

ვახტანგ ბუცხრაძის განცხადებით, ენერჯეტიკის სექტორის დაფინანსების მიხედვით, თიბისი ბანკის, როგორც წამყვანი ქართული ბანკის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია ენერჯეტიკული პროექტების მხარდაჭერა და დარგის განვითარების ხელშეწყობა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, თიბისი ბანკმა 150 000 000 ლარის ენერჯეტიკული პროექტი დააფინანსა.

ენერჯეტიკის მინისტრის, კახა კალაძის განცხადებით, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ ბანკებთან: „თიბისი ბანკი ერთ-ერთი წამყვანი, გამორჩეული ბანკია საქართველოში, რომელმაც 10 მნიშვნელოვანი, ენერჯეტიკული დააფინანსა. დარწმუნებული ვარ, ეს ბანკი მომავალშიც ბევრ საინტერესო პროექტს დააფინანსებს. ჩვენ ძალიან კარგი, მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა გვაქვს. მინდა დავარწმუნოთ, რომ საქართველოს მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რათა ახალი პროექტები განხორციელდეს და უახლოეს მომავალში,

თიბისი ბანკის საგაერო და ევროკავშირის პროექტების განხორციელების მიზნით 150 მილიონი დარის ენერჯეტიკული პროექტი დააფინანსა



ენერჯეტიკულ დამოუკიდებლობას მიაღწიოს. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოს დამოუკიდებლობის ტოლფასია“.

მინისტრის განმარტებით, საქართველო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. ჩვენი მდინარეები კი ენერჯეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა, მაგრამ ამ ეტაპზე, ჰიდროპოტენციალის მინიმუმია ათვისებული: „საქართველოში დაახლოებით, 25 000 მდინარეა, აქედან დაახლოებით, 300-ია ენერჯეტიკულად საინტერესო. მდინარეების მოკვლევა უკვე დაიწყო და სავარაუდოდ, ოქტომბერში კვლევის სრული სურათი გვექვება. რა თქმა უნდა, ეს პროცესი ენერჯეტიკულ ინვესტიციების მაქსიმალურ მოზიდვას განაპირობებს. ჰიდროენერჯეტიკული პოტენციალის გონივრული გამოყენების პერსპექტივა ეკონომიკურად გამართლებული, მიზანშეწონილი და აუცილებელია. საქართველო ენერჯეტიკულად დამოუკიდებელი არ არის, ზამთრის პერიოდში ქვეყანა ელექტროენერჯის იმპორტს ახორციელებს. თუმცა საქართველოს რეალურად აქვს საშუალება, ენერჯეტიკულად დამოუკიდებელი ქვეყანა გახდეს და მეტიც, საქართველოში გამოიშვა ენერჯეტიკული პროექტების განხორციელების მიზნით 150 მილიონი დარის ენერჯეტიკული პროექტი დააფინანსა“.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ბანკმა 150 მილიონი დარის ენერჯეტიკული პროექტი დააფინანსა

არამხოლოდ ქართულ ბაზარზე მოვიხმაროთ, არამედ მეზობელ ქვეყნებში ექსპორტიც განვახორციელოთ“.

ენერჯეტიკის ექსპერტმა, ლევან ბერიძემ დაამატა, რომ ამ ტიპის ენერჯეტიკული პროექტი დააფინანსა, რომელიც სხვადასხვა ენერჯეტიკული პროექტის, სწორედ თიბისი ბანკის დახმარებით განხორციელდა. კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის, ლევან ბერიძის განცხადებით: „დღევანდელი მდგომარეობით, ჩვენს კომპანიას დაახლოებით 10 000 000 ლარის პროექტი აქვს განხორციელებული. ჩვენ ვახორციელებთ „ხადორი 2“-ის, შინდისის, ლარსის, ყაზბეგისა და დარიალის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას. ყველა ამ პროექტში, რომელიც ჩამოგითვალეთ, თიბისი ბანკს საკმაოდ სერიოზული წვლილი მიუძღვის“.

მაია მიშელაძე



აშშ საპარტიკო აკადემიის
მხარდაჭერის უხსნაღებს

საქართველოს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანამშემენე ვიქტორია ნულანდი ეწვია.

რეგიონული ვიზიტის ფარგლებში ნულანდი შეხვდა პრემიერ-მინისტრს, საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და იუსტიციის მინისტრებს, ასევე ოპოზიციის ლიდერებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. ოფიციალურ შეხვედრებზე განიხილეს საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხები, ქვეყანაში და რეგიონში არსებული უსაფრთხოების კარგი და გამოწვევები, ასევე საქართველოს ძალისხმევა დაცვის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, ირაკლი ლარიაშვილთან შეხვედრაზე, ნულანდი აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები 100%-ით უჭერს მხარს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების კურსს, ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციის პროცესს, საქართველოს სუვერენიტეტს, მის ტერიტორიულ მთლიანობას და ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკას.

ზაზი გაყვია აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანამშემენის ვიზიტს, როგორც საქართველოს უპირველესი სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკის შეერთებული შტატების მკაფიო მხარდაჭერის მკაფიო დემონსტრირებას.

მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობების ფართო სპექტრზე ისაუბრეს, მათ შორის ეკონომიკურ-სავაჭრო თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე. საუბარი შეეხო რეგიონული უსაფრთხოებისა და საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდის საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე, მათ შორის მსს-სა და პროკურატურაში გასატარებელ ცვლილებებზე. ამერიკულმა მხარემ გამოთქვა მზაობა აღნიშნულ პროცესებში ამერიკელი ექსპერტებიც ჩაერთონ.

შეხვედრაზე აღნიშნა საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესებში მიღწეული პროგრესი და რიგის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტისთვის მზადების პროცესი. საქართველოს მთავრობის მეთაურმა ზაზი გაყვია აშშ-ს მხარდაჭერის მნიშვნელობას. მისი განმარტებით, საქართველო ყველაფერს აკეთებს უპირველეს სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთობის უფრო გასაძლიერებლად.

„ვერსიონუსი“



აბაშიძე-ქარასინის შეხვედრა
თბილისის ბოლოს შედეგად

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, გრიგორი კარასინსა და საქართველოს პრემიერის სპეციალურ წარმომადგენელს, ზურაბ აბაშიძეს შორის მომდევნო შეხვედრა თებერვლის ბოლოს პრაღაში გაიმართება. უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ცნობით, კარასინსა და აბაშიძეს შორის სატელეფონო საუბარი შედგა, მხარეებმა მომდევნო შეხვედრის თარიღსა და რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ ურთიერთობებზე გაამახვილეს ყურადღება.

გრიგორი კარასინსა და ზურაბ აბაშიძეს შორის პირველი შეხვედრა 2012 წლის დეკემბერში ჟენევაში შედგა. 2013-2014 წლებში მხარეებმა პრაღაში შეიძინეს დისკუსია გამართეს. შეხვედრებისას ძირითადად ორ ქვეყანას შორის სავაჭრო, ეკონომიკური, ჰუმანიტარული და კულტურული საკითხები განიხილება. მსგავსი დისკუსიები 2008 წლის შემდეგ რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი დიალოგის ერთადერთ არსს წარმოადგენს.

„ინტერპრესნიუსი“

„პრეზიდენტის კანდიდატურის ჩაგდება არ უაღიარებ“

როგორ შეხვდა უმრავლესობა ნინო გვენეტაძის დასახელებას და რისკენ მოუწოდებს დეპუტატებს „ფორუმედი“ ანი მიროცაძე



ნინო კომახიძე
599-95-33-16

გიორგი მარგველაშვილმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურად ნინო გვენეტაძე დაასახელა. კოტე კუბლაშვილს უფლებამოსილების ვადა 23 თებერვალს ეწურებოდა, მაგრამ პრეზიდენტმა კანდიდატი ერთი კვირით ადრე წარადგინა. როგორ დამთავრდა კინკლაობა „ოცნებაში“, რას ფიქრობენ დეპუტატები ნინო გვენეტაძეზე და როდის იწყებს კოალიცია კონსულტაციებს — „ვერსიას“ ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი წევრი ანი მიროცაძე ესაუბრება.

— დეპუტატების პირველი რეაქცია რა იყო ნინო გვენეტაძის კანდიდატურის დასახელებისას?

— ნინო გვენეტაძის ბიოგრაფიაში საინტერესო დეტალებია: იგი ერთ-ერთი იყო იმ მოსამართლეებიდან, ვინც ნაციონალური რეჟიმის მხარდაჭერმა მოსამართლეებმა უზენაესი სასამართლოდან გამოაგდეს. ჩემი აზრით, ეს ადამიანი სამართლიანი მართლმსაჯულებისთვის დიდხანს იბრძოდა. შესაბამისად, მისი კანდიდატურის მიმართ დადებითად ვარ განწყობილი.

— უმრავლესობის განწყობა როგორია — გვენეტაძე რესპუბლიკელების წევრი რომ იყო, მის არჩევას ხელს ხომ არ შეუშლის?

— 2008 წელს ნინო გვენეტაძე ხაშურში რესპუბლიკელებიდან მაჟორიტარად იყრიდა კენჭს. მაშინ ყველანი ნაციონალების მონინალამდეგე ბანაკში ვიყავით და ვისაც როგორ შეგვეძლო, ისე ვიბრძოდით. შესაძლოა, ამ დროს არც გვენეტაძეს უნდოდა პოლიტიკაში ყოფნა, მაგრამ ეს იყო შემთხვევა, როცა რეჟიმის დასამარცხებლად ყველა გაერთიანდა, მათ შორის, გვენეტაძეც, როგორც რეჟიმის ერთ-ერთი მხარდობი. დიახ, ეს არის გარკვეული ფაქტორი, მაგრამ ამ ფაქტორს ასე ვხსნი. გარდა ამისა, მას პარტიულობა დიდი ხანია შეჩერებული აქვს, ანუ სასამართლოში აქტიური პოლიტიკიდან არ მიდის, არც მოქმედი პოლიტიკოსია. შესაბამისი კვალიფიკაცია აქვს და არა მგონია, 2008 წელს არჩევნებში მისი მონაწილეობა შემაფერხებელი ფაქტორი იყოს.

— ანუ უმრავლესობის ხმების მოპოვებას მოახერხებს?

— უმრავლესობის სახელით ვერ ვილაპარაკებ. 18 თებერვალს, ქუთაისში, სესიის მერე, დიდი ალბათობით, უმრავლესობის სხდომა ჩაინიშნება და ფრაქციები საკონსულტაციოდ შევიკრიბებით. ვიცი, შალვა შავგულიძისა და შესაბამისად, თავისუფალი დემოკრატების პოზიცია, ასევე, ცხადია რესპუბლიკელების პოზიცია, კანდიდატის მიმართ დადებითად და განწყობილი თამარ კორძაია და კიდევ რამდენიმე ცალკეული დეპუტატი, ჩემი პოზიციაც გასაგებია. აქ საინტერესოა ფრაქცია „ოცნების“ პოზიცია და ის, რას იზამს 22 ადამიანი, ვინც სხვა კანდიდატის მხარდამჭერად მოიაზრება? ღმერთმა არ ქნას, 24 თებერვალს უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარედ მეიშვით კვიციანი, რომელიც კოტე კუბლაშვილის პირველი მოადგილეა. ამიტომ კოლეგებს მოვუწოდებ, სწორი გადაწყვეტილება მიიღონ. კონკრეტულად მეიშვითანაც არ მაქვს პრეტენზია, ის, უბრალოდ, ნაციონალების რეჟიმის „პროდუქტია“. არ მინდა, პრეზიდენტის მიერ დასახელებული კანდიდატურა ჩავარდეს. პირადად ამ კანდიდატურას არ ჩავადებ.

— ალბათ, კოალიციაში საქმე მართლაც დაშლამდე მივიდოდა, კანდიდატის დასახელება 23 თებერვლამდე რომ გადადებოდა.

— ერთი თვეა ამ თემაზე და კანონით მოთხოვნილ თუ არაოფიციალურ კრიტერიუმებზე ვსაუბრობთ და 4, 5 ასეთი კრიტერიუმიც დავასახელებ, რომელთაც ახალი თავმჯდომარე უნდა აკმაყოფილებდეს. მათ შორის ერთ-ერთია, პირი ნაკლებად პოლიტიკული იყოს. თუ ვინმე ფიქრობდა, ეს კრიტერიუმი დისკრიმინაციული იყო, კარგი იქნებოდა, ჯერ გუნდში ეთქვა. შესაძლოა, მეც მეტად დავფიქრებულიყავი. დღეს ჩემი პოზიცია მარტივია: ყველამ ვნახეთ, რას ნიშნავს ხელისუფლებასთან შესისხლბორცებული სასამართლო და მისი შედეგი — გამამართლებელი განაჩენით დასრულებული საქმეები 0,002%. ამიტომ მინდა, სასამართლოს ახალი წელთაღრიცხვა სხვანაირად დაიწყოს — სასამართლოში ვინმეს მეგობარი, ან რომელი პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი

მოსამართლე კი არა, ობიექტური, თავისუფალი მსაჯული მივიდეს.

— თუკი ყველა ასე ფიქრობდით, ყველას ასეთი მისამართული გინდოდით და კრიტერიუმებზეც თანხმდებოდით, რამ გამოიწვია ამხელა აჟიოტაჟი „ოცნებაში“, რასაც ივანიშვილიც კი გამოეხმაურა?

— ადამიანურად, ამ გაუგებრობის გამო ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ეს უმრავლესობაში კი არა, ფრაქცია „ქართულ ოცნებაში“ მოხდა, კომუნიკაციის არარსებობის გამო. კოალიციის პოლიტსაბჭოზე ყველა ფრაქციის წარმომადგენელი შევიკრიბეთ. მეც ვესწრებოდი, რადგან სოსო ვახტანგაშვილი თბილისში არ იყო. სხდომას დავით უსუფაშვილი უძღვეოდა. პოლიტსაბჭოდან კი ინფორმაციამ ავტომატურად ფრაქციების დანარჩენ წევრებთან გადაინაცვლა. შესაბამისად, ვადასტურებ, რომ უმრავლესობის ბიურომ იმსჯელა პრეზიდენტთან საგანგებოდად და შეთანხმდა, ზოგადად, მოლაპარაკების ფორმატზე. იქ არავის უთქვამს, კანდიდატი პარტიის წევრი არ უნდა იყოსო, ვთქვით, რომ პირი ნაკლებად უნდა იყოს ასოცირებული რომელიმე პარტიასთან. ჩემს აზრს საკუთარ მაგალითზე ვიტყვი, რომ ვინმესთვის ისევ სანყენი არ გახდება — უმრავლესობასა და ფრაქცია „ფორუმს“ წარმოვადგენ და შესაძლოა, ჩემი პარტიულობა ხელისშემშლელი აღმოჩნდეს სასამართლო კარიერაში. სახელები და გვარები არაფერ შუაშია, უბრალოდ, პარტიული პირის, მოქმედი პოლიტიკოსის მიმართ კითხვა გინდებდა. თან, რაც უნდა მიუღებელი იყოს კოლეგებისთვის ეს აზრი, მაინც უფრო კორექტულად უნდა ისაუბრონ. ზაქარაიას ვესაუბრე და ვუთხარი, რომ მისი პერსონის საინალამდეგე არაფერი მქონდა, უბრალოდ, ყველა განაჩენს დალი დაესმევა, რომ ეს პოლიტიკური ნიშნით მიღებული გადაწყვეტილებაა, როცა ადამიანი პირდაპირ პოლიტიკიდან მიდის სასამართლო ხელისუფლებაში. არ მინდა, სასამართლოს პოლიტიკური სუნი ასდიოდეს. თორემ პიროვნულად ჩემთვის, შესაძლოა, ძალიანაც მარტივი გახა, უზენაესში „მეგობარი“ მყავდეს, ნათესავები და ახლო მეგობრები მივიყვანო და იმედინად ვიყო — ეს დრო უნდა დასრულდეს. მე მოქალაქე ანი მიროცაძის სამართალი მინდა და არა დეპუტატის!

— ეს მხოლოდ თქვენი პოზიციაა, თუ მთელი პარტიის?

— პრინციპებზე, რა თქმა უნდა, პარტია შეთანხმებულია, თუმცა კონკრეტული გვარებისა და არც დასახელებული კანდიდატის მხარდაჭერის საკითხი ამ ფორმით არ განხილულა. მინდა, კოტე კუბლაშვილი იყოს იმის ნიშნად, როგორი არ უნდა იყოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

— ამბობენ, ივანიშვილის ბოლო ინტერვიუმ, ზოგადად, რესპუბლიკელების წინააღმდეგ ახალი ტალღა აავგორაო. კოალიციაში ცვლილებები იგეგმება?

— თუ რესპუბლიკური პარტია კოალიციას დატოვებს, ეს მხოლოდ მისი არჩევანი იქნება და არა უმრავლესობის. ეს პარტია კოალიციის დამფუძნებლებიცაა. ივანიშვილს თავისი აზრი აქვს, თუმცა ეს მოცემულობას არ შეცვლის, სანამ ამას თავად რესპუბლიკელები არ მოინდომებენ. რასაკვირველია, „ოცნებისა“ მათ გაშვებასაც არაინი პირებს. უმრავლესობისა და პოლიტსაბჭოს არცერთი სხდომა არც ამ დროს რიგგარეშე არჩევნების თემას არ დათმობია. ხოლო ვინ ვისთან საუბრობს და ვის რა მოსაზრებები აქვს, ეს მხოლოდ ვერსიების დონეზეა. ამ დონეზე კი ცვლილებები არ ხდება.

— ეროვნული ფორუმში რა ხდება?

— ფორუმში მზად იქნება ვადადგელი და რიგითი არჩევნებისთვისაც. როგორც იქნება მოცემულობა, ისე ვიმოქმედებთ — კოალიციის ფორმატშიც და ცალკეც.

— არ ვიცი, ჭორია თუ არა, მაგრამ ეროვნული ფორუმი ალასანის პარტიასა და უსუფაშვილთან კარგა ხანია ერთ ბანაკად მოიაზრება.

— ჭორია! რას ნიშნავს, რომელიმე ბანაკში მოიაზრება? „ფორუმში“ ასე არ მოუბოხს. არ ვიცი, ეს ხმები საიდან ან რატომ მოდის. პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოება, ალბათ, მიუჩვენებელია, თან უმრავლესობაში იყო, თან განსხვავებული აზრი გქონდეს და არც ოპოზიციაში გადადიოდ. ჩვენი პოზიცია მარტივია — სხვაგან გადასვლა კი არა, კოალიციაში ყოფნა და მოვლენების უკეთესობისკენ შეცვლა ისე გვინდა. დღეს არ არსებობს საკითხი, რომელიც კოალიციიდან ფორუმის გადასვლის პროვოცირებას მოახდენს. არცერთი პოლიტიკური ძალა და არც ფორუმი არაა დღეს ისეთ მდგომარეობაში, საკუთარი ძალებით უმრავლესობაში მოვიდეს. ასე რომ ყველა ვალდებულია, მოცემულობას ანგარიში გაუწიოს.

სასჯელალსრულების დანესებულებებში, შესაძლოა, ისეთ დამნაშავეს ნააწყენდეს, ვერასდროს რომ ვერ მოიფიქრებ...

2011 წლის შემოდგომაზე პატიმარ №0578-ს მაცურებლების კამერაში უხმეს...

„მომისმინე. ხვალ აქ ორ პატიმარს მოიყვანენ, ორივე მკვლელობაზეა გასამართლებული, ბიძაშვილები არიან...

„რაა?! საკუთარი დედამამიშვილები დახოცეს და კითხვის დასმასაც არ აპირებთ? არ გაინტერესებთ მაინც რა როგორ მოხდა?...

„ქურდის სიტყვა კანონია. არ ვიცით, არ გვაინტერესებს, ტარასამ იცის და იმას ვენდობით...“

„გასაგებია, ტარასამ რომ იცის და სხვა ქურდებმაც იციან, მაგრამ გულახდილად თქვი, შენც რომ გაინტერესებს, რა მოხდა?...

„არა-მეთქი. ქურდის სიტყვას თუ გადახვალ, პასუხს მოგთხოვთ და თანაც, მოგთხოვთ მთელი სიმკაცრით“...

მეორე დღეს ზონაზე რამდენიმე ახალი პატიმარი მართლაც მოიყვანეს და მათგან ის ორი გამოირჩეოდა...

დედაშვილები გავლელის პასუხი

რაგომ დახოცეს ოჯახის წევრები ბიძაშვილებმა და რაგომ შეუნახა საიდუმლო ცარიელ ფოცხვერიამ



დააბინავეს და ზონაზე ჩვეულებრივი ცხოვრება გაგრძელდა. ახლებს არავინ არაფერს ეკითხებოდა და, როგორც კი №0578 მათ თვალს მოკრავდა, ცდილობდა, ახლოს ყოფილიყო...

„ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ახალი წელი მოდის, ვიცი, ბრავა გაიჩინება ზონაზე, უნდა დავათხოვო ეგ ხალხი, ეგებ რამე თქვან...“

„არც კი გაბედო მაგის გაკეთება. ხომ ხედავ, არაფერს აშავებენ, არავის ერჩიან. მორჩა, ჩვენ ხელს არაფერში ვუშლით...“

მეორე დღეს №0578-მა თანასაკენელი გაიყოლა, ბიძაშვილების ახლოს დადგა და იმთა დასაგონად თქვა: „ბრავას ვამზადებთ ჩვენს კამერაში, სახალსლოდ გაილუქება კამერა...“

და №0578-მა შენიშნა, რომ მოსმენილმა ინფორმაციამ ბიძაშვილები დაინტერესა. მათ ჯერ №0578-ს შეხედეს, მერე ერთმანეთს, თუმცა ხმა არ ამოუღიათ...

„ხომ გუებნებით, თრობა უნდათ მაგათ, თრობა. დარდი რომ

გაიქარვონ და მიმიშვიტონ, რა?! თან დათვრებინან, თან ილაპარაკებენ...“

„შენ რით ვერ იხვეწებ, ბოლოს და ბოლოს? რა თრობა, რა საკანში დარჩენა? დაივიწყე ეგ ყველაფერი“...

„ახლოვები ჰყავს №0578-ს იმ კამერაში, ახალ წელს უნდათ, ერთად შეხვდნენ და ნუ ეტყვი უარს“...

12 საათის შესრულებისთანავე პატიმრებმა ბრავის სმა დაიწყეს. ბიძაშვილები ჯერ მორიდებულად სვამდნენ, მერე და მერე კი გათამამდნენ და ბოლომდე დაიწყეს ჭიქების დაცლა...

„არაფერი. დათვრენ, იტირეს და დაიძინეს. სულ ეს იყო“...

„საქმე გვაქვს... პირადულია“ — მშვიდად უთხრეს მაცურებელს.

როცა რომელიმე პატიმარი ამბობს, რომ პირადი საქმე აქვს, იქ სხვა არ უნდა დაესწროს. ამიტომ, №0578 მაშინვე ნაშრომად და გასვლა დააპირა, თუმცა მოსულუბმა გააჩერეს...

„სულელები არ ვართ და ვხვდებით, რომ მთელმა ზონამ იცის, რაზე ვზივართ. გლდანში მისვლისთანავე ტარასასთან შეხვედრა მოვითხოვეთ...“

„ეგ ვიცი, მიზეზი არ ვიცი და თუ არ გინდათ, ნუ იტყვი. ტარასას სიტყვა ჩემთვის საკმარისია“...

„გვერდიგვერდ სახლებში გავიზარდეთ. ოთხნი ვიყავით, მაგრამ მთლიანობაში სხვაობა ორი წელიც კი არ იყო...“

„ეგ ვიცი, მიზეზი არ ვიცი და თუ არ გინდათ, ნუ იტყვი. ტარასას სიტყვა ჩემთვის საკმარისია“...

„გვერდიგვერდ სახლებში გავიზარდეთ. ოთხნი ვიყავით, მაგრამ მთლიანობაში სხვაობა ორი წელიც კი არ იყო...“

„ეგ ვიცი, მიზეზი არ ვიცი და თუ არ გინდათ, ნუ იტყვი. ტარასას სიტყვა ჩემთვის საკმარისია“...

„გვერდიგვერდ სახლებში გავიზარდეთ. ოთხნი ვიყავით, მაგრამ მთლიანობაში სხვაობა ორი წელიც კი არ იყო...“

„ეგ ვიცი, მიზეზი არ ვიცი და თუ არ გინდათ, ნუ იტყვი. ტარასას სიტყვა ჩემთვის საკმარისია“...

„გვერდიგვერდ სახლებში გავიზარდეთ. ოთხნი ვიყავით, მაგრამ მთლიანობაში სხვაობა ორი წელიც კი არ იყო...“

„გვერდიგვერდ სახლებში გავიზარდეთ. ოთხნი ვიყავით, მაგრამ მთლიანობაში სხვაობა ორი წელიც კი არ იყო...“

პერსონალი

შს-ს მომსახურების სააგენტოს თანამშრომელი თაღლითობის ფაქტზე ახილეს


შს-ს გენერალურმა ინსპექციამ თაღლითობის, მითვისებისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე შს-ს მომსახურების სააგენტოს მომსახურების განყოფილების წამყვანი სპეციალისტი ახილეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირი, მის მიერვე დამზადებული ყალბი ოფიციალური ხელშეკრულებების გამოყენებით თბილისსა და რუსთაველში მდებარე სხვადასხვა მალაზიებიდან, სამსახურებრივი საჭიროების მოტივით, თაღლითურად დაეუფლა სხვადასხვა დასახელების ძვირადღირებულ მობილურ ტელეფონებს, მოახდინა მათი რეალიზაცია და აღებული თანხა მიისაკუთრა.

მომსახურების სააგენტოს მომარაგების განყოფილების წამყვან სპეციალისტს ბრალდება წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და 362-ე მუხლის პირველი ნაწილით. აღნიშნული დანაშაული თავისუფლების 7-დან 11 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.



შს-მ 9600 აბი „ტრამალოლი“ ამოიღო



შს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1961 წელს დაბადებული, თურქეთის მოქალაქე იუსუფ ო. სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში დააკავეს. სამართალდამცველებმა დააკავეს კუთვნილი სატვირთო ავტომანქანის ჩხრევისას 9600 აბი ნარკოტიკული საშუალება „ტრამალოლი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 480 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება „ტრამალოლს“ შეიცავს.

სამართალდამცველებმა ბუჩაკისის ინსპექციის მიერ ჩახენილი თურქეთის მოქალაქე დააკავეს

დაკავებულია ბუჩაკისის ინსპექციის მიერ 21.01.2010 წლიდან საერთაშორისო დონეზე ძებნილი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1979 წელს დაბადებული მეჰმეთ ბარაკი. ბრალდებული თბილისის ინტერპოლის და აჭარის საპატრულო პოლიციის სარფის სასაზღვრო-საკონტროლო გამშვები პუნქტის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად თურქეთიდან საქართველოში შემოსვლისას დააკავეს.

მეჰმეთ ბარაკს ბრალად ედება რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც გაუპატიურებას გულისხმობს. მეჰმეთ ბარაკმა 2004 წლის 2 ნოემბერს ბუჩაკისში, საკუთარ ბინაში, ძალადობის გამოყენებით აიძულა დაზარალებული მასთან სექსუალური კავშირი დაემყარებინა. ამჟამად ბარაკი დაკავებულია და გადაყვანილია აჭარა-გურის დროებითი მოთავსების იზოლაციაში. მის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.



„ვერსიანიუსი“

თბილისის მერის, დავით ნარმანიას ინიციატივით, ქალაქის სატრანსპორტო სამსახური ტაქსების ლიცენზირების საკითხზე მუშაობს. მერიაში აცხადებენ, რომ სამუშაო ჯგუფი უკვე შეიქმნა, რომელშიც, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის გარდა, მერიის სხვა სამსახურების წარმომადგენლებიც შედიან. თუმცა სამუშაო ჯგუფს ჯერ კონკრეტული მონახაზიც კი არ აქვს და ისიც უცნობია, როდის დასრულდება ტაქსების ლიცენზირების საკითხზე მუშაობა. ფაქტია, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, თავს ტაქსის მძღოლობით ირჩენს. ლიცენზირების პირობებს მათი უმრავლესობა ვერ დააკმაყოფილებს და სავარაუდოდ, ლუკმა-პურის გარეშე დარჩება.

მოქმედი კანონმდებლობით, მგზავრთა გადაზიდვების კერძო სატრანსპორტო სფერო არ რეგულირდება. ნებისმიერ მსურველს, რომელიც ტაქსის ტრაფარეტს შეიძენს, შეუძლია, რომ ყოველგვარი სალიცენზიო გადასახადის გადახდისა და დაბეგვრის რეჟიმის გარეშე იმუშაოს. ტაქსებზე ლიცენზიის შემოღების საკითხი წინა ხელისუფლების პირობებშიც განიხილებოდა, ლიცენზიის გადასახადი წელიწადში 1 000 აშშ დოლარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს საკითხი ჩავარდა.

თბილისში რამდენიმე ათეული კერძო კომპანიაა. თითოეულში საშუალოდ, 30-40 ტაქსია გაერთიანებული. უხეში გათვლებით, ამ კომპანიებში, დაახლოებით, 40 000 ადამიანია დასაქმებული. კერძო კომპანიებს მეტ-ნაკლებად მონესრი-გებული ინფრასტრუქტურა, ტექნიკურად გამართული ავტომობილები და კომფორტული სერვისი აქვთ. ჩვეულებრივ, კერძო კომპანიები იურიდიულ პირებად რეგისტრირდებიან, გადასახადებსაც იხდიან და თბილისის ბიუჯეტშიც საკმაოდ სოლიდური შემოსავალი შეაქვთ.

დედაქალაქში „ქუჩის ტაქსები“ უხვადაა. სამუხაროდ, არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა, რამდენი ათასი ტაქსი მოძრაობს თბილისში. უხეში გათვლებით — დაახლოებით 45 000-დან 50 000-მდე და მძღოლების უდიდესი ნაწილი დედაქალაქში რაიონიდანაა ჩამოსული. ხშირ შემთხვევაში, მათი ავტომობილები ტექნიკურად გაუმართავია და მათი უმრავლესობა თბილისის ქუჩებშიც ვერ ერკვევა. მგზავრის თვალთი დასახელები ამ პირობების მიღმა, ის რეალურაა, რაც ადამიანს თვითგადარჩენაზე ზრუნვას აიძულებს და ამ მიზნით, შედარებით იოლ გზას — „ტაქსაობას“ ირჩევს. ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება, რადგან საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, შესაძლოა, საერთოდ ულუკმაპუროდ დარჩეს.

ტაქსების რეგულირება აუცილებელია, რათა ეს სფერო სამართლებრივ ჩარჩოში მოექცეს. მით უმეტეს ახლა, როდესაც გადატვირთული მოძრაობის გამო, თბილისში საცობებია. თუმცა ისიც გასარკვევია, ლიცენზირების რა კრიტერიუმებს შეიმუშავებს ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, ან კონკრეტულად ვის ექნება უფლება, მგზავრებს მოემსახუროს. ფაქტია, ახალი რეგულაციის შემოღების შედეგად, ტაქსების მძღოლთა უდიდეს ნაწილს, საკუთარი მანქანებიდან სპეციალური ტრაფარეტების მოხსნა მოუწევთ, რადგან ლიცენზირებისთვის გათვალისწინებულ სტანდარტებს, რასაც მერია შეიმუშავებს, სავარაუდოდ, ვერ დააკმაყოფილებენ. ამიტომ მერიამ ლიცენზირების პირობები ისე უნდა შეიმუშაოს, რომ დედაქალაქში „ტაქსისტების ბუნტი“ არ გამოიწვიოს.

რა უნდა გააკეთოს თბილისის მერიამ, რომ ეს სფერო დაარეგულიროს? არის თუ არა ტაქსების ლიცენზირება გამოსავალი? „ვერსიას“ თბილისის საკრებულოს დეპუტატი, ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატების“ წარმომადგენელი **შალვა მგაბიანი** ესაუბრება.

— ბატონო შალვა, უცნობია, ლიცენზირების რა მექანიზმის შემუშავებას აპირებს თბილისის მერია, მაგრამ თქვენი აზრით, როგორ უნდა დარეგულირდეს ეს სფერო?

— 2014 წლის დეკემბერში, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან საკმაოდ მწვავე შეხვედრა გვექონდა. ხედავ, როგორ წარმოუდგენია ამ სამსახურის ხელმძღვანელობას დარგის განვითარება, ჩვენთვის არ გაუცნიათ. მეტიც, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს ჯერ ასეთი ხედვა არ გააჩნია. როგორც რიგით თბილისელს, მიმაჩნია, რომ ამ სფეროში წესრიგია დასამყარებელი. ალბთ, ზოგჯერ კერძო ტაქსით კომფორტულად გიმგზავრიათ, მგზავრობის არ შეგშინებიათ, რადგან მძღოლი მაღალ დონეზე ფლობს მანქანის მართვის უნარ-ჩვევებს, იცის თბილისის ქუჩები, მანქანა მონესრიგებულია, სალონი ბუნებრივი აირის სუნი არ დგას და სიარულისას, მანქანას ნაწილები არ ძვრება. თუმცა ხომ ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, გინანიათ, რომ ტაქსი გააჩერეთ? კერძო ტაქსების მოგვარება, თბილისის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას მემკვიდრეობით ერგო, რომელიც ამ სფეროში წესრიგის დასამყარებლად, დიდ რისკებს ხედავს. არ დაიწყოს — ვაია, რადგან ასე გაგრძელება უკვე აღარ შეიძლება, დაიწყოს — ვუთხარებ, რომ ოპონენტები მაშინვე იტყვიან, რა ქნას ადამიანმა, რომელსაც სამსახური არ აქვს და იძულებულია, თავი ტაქსით ირჩინოსო. ამ შემთხვევაში, ერთადერთი გამოსავალია, თბილისის მერიამ სწორი გადაწყვეტილება მიიღოს. მან უნდა შექმნას მოქმედების გეგმა, რომელიც საზოგადოებასაც უნდა გააცნოს, რათა გავიგოთ, როგორ აპირებს პრობლემის მოგვარებას. არსებობს ნიუ-იორკის, ლონდონის, ბერლინის ტაქსები... საზოგადოებამ უნდა იცოდეს, როგორი უნდა იყოს თბილისის ტაქსი, როგორი ავტომობილი უნდა მოძრაობდეს სპეციალური ტრაფარეტით, რა ტექნიკურ პარამეტრებს უნდა აკმაყოფილებდეს, ვინ უნდა

ტაქსების ლიცენზირების საკითხს „ტაქსისტების ბუნტი“ მოჰყვება?!

არის თუ არა მოსაზრების დანესება გამოსავალი და რა კრიტერიუმები უნდა შეიმუშაოს ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა



იყოს ტაქსის მძღოლი და რა უნარ-ჩვევები უნდა ჰქონდეს, რამდენწლიანი სტაჟია საჭირო, რომ ადამიანმა ტაქსის მძღოლად დაიწყოს მუშაობა? ხედავ, რომელსაც თბილისის მერია ჩამოაყალიბებს, სწორედ ამ კითხვებს უნდა პასუხობდეს.

— და რაც შეეხება გადასახადებს?

— მიმაჩნია, რომ გადასახადების დანესება, ყველაზე მარტივი გზაა. მთავარი კი ამ სფეროს მონესრიგებაა. მას შემდეგ, რაც ელემენტარული მოთხოვნების ნუსხა გაჩნდება, უკვე ლიცენზირებაზე შეიძლება საუბარი. ცალკე უნდა დავითვალოთ, რა რაოდენობის თანხა შეაქვთ ბიუჯეტში დაახლოებით, 30 000-დან 40 000-მდე თბილისელს, რომლებიც დასაქმებული არიან. რა რაოდენობის თანხა შეიტანა ბიუჯეტში კერძო კომპანიამ, რომელიც მინიმუმ, 40-მდე ტაქსს აერთიანებს. ასეთი რამდენიმე ათეული კომპანიაა თბილისში და კარგი იქნება, თუ მათ შემოსავლებსაც შეეადარებთ ერთმანეთს. რაც მთავარია, ამ საკითხს პოლიტიკური სარჩული უნდა ჩამოვაშოროთ და უნდა დავარჯულოთ საუბარი თემებზე — რა ქნას საწყალმა ტაქსისტმა, რომელსაც ფული არ აქვს? დროა, კლიმებს გავუქცეთ და სასწრაფოდ მივიღოთ გადაწყვეტილება, როგორ ვუშველოთ ამ მეტად მტკივნეულ და მნიშვნელოვან საკითხს. რა გავაკეთოთ, რათა ამ სფეროში წესრიგი დამყარდეს. მიმაჩნია, რომ გამოსავალი აუცილებლად მოიძებნება, საჭიროა, მმართველმა პარტიამ პოლიტიკური გაბედულება გამოიჩინოს.

— აქამდე თუ არსებობდა ლიცენზია ტაქსებისთვის ან კერძო კომპანიები თუ იხდიან მოსაკრებელს?

— კერძო ტაქსებით მომსახურება დერეგულირებულია, რაც ნიშნავს, რომ ეს სფერო ლიცენზირებას არ ექვემდებარება! დღეს, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ელიავას ბაზრობაზე, ან მაღაზიაში შეიძინოს სპეციალური ტრაფარეტი, დაამაგროს მანქანაზე და „იტაქსაოს“. კერძო კომპანიები კი, იურიდიული პირები არიან, ამიტომ აღრიცხვა და ანგარიშსწორება მონესრიგებული აქვთ. ისინი ჩვეულებრივად იბეგრებიან და საკმაოდ სოლიდური თანხა შეაქვთ თბილისის ბიუჯეტში.

— როგორ გგონიათ, ლიცენზირება გამოსავალია?

— ამ სფეროს მონესრიგება ლიცენზირებით არ უნდა დაიწყოს! გარკვეული თანხის მექანიკურად დანესებით, პრობლემა ვერ მოგვარდება. აუცილებელია, თბილისის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა სტანდარტები და მოთხოვნები განსაზღვროს. მიმაჩნია, რომპირველ ეტაპზე, ლიცენზირება ნულოვანი უნდა იყოს, ჯერ აღვრიცხოთ, რამდენი ტაქსისტია თბილისში და შემდეგ დავადგინოთ, რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილონ. სტანდარტებისა და მოთხოვნების ჩამონათვალი დიდია, მაგრამ ამ ეტაპზე ლიცენზირება, ანუ მოსაკრებლის დანესება, გამოსავალი არ არის!

კერძო კომპანიის „ტაქსი გამოძახებით“ წარმომადგენელმა, ია ქადაგიშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ კომპანიას 30-მდე მანქანა ემსახურება. კომპანია რეგისტრირებულია და გადასახადებს იხდის, შესაბამისად, თბილისის ბიუჯეტშიც შეაქვს შემოსავალი: „ვიცი, რომ თბილისის მერიამ ტაქსების ლიცენზირებაზე დაიწყო მუშაობა. რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ ვარ, რომ ლიცენზირების გადასახადიც გადავიხადო, მაგრამ მაშინ „ქუჩის ტაქსები“ აკრძალონ, რომლებიც მუშაობაში ხელს გვიშლიან. ჩვენი კომპანია გადასახადებს იხდის, ინფრასტრუქტურაზეც ვზრუნავთ, რადგან რაცინები გვჭირდება, მანქანები ტექნიკურად გამართულია და მგზავრობაც კომფორტულია. ეს ყველაფერი ხომ ხარჯებთანაა დაკავშირებული? „ქუჩის ტაქსები“ საერთოდ არ იხდიან გადასახადებს, არადა, კლიენტურას გვართმევენ, ისედაც გვიჭირს მუშაობა და ამიტომაც ვამბობ, რომ ლიცენზირების მოსაკრებელი მხოლოდ ჩვენთვის არ უნდა დანესდეს. თუკი „ქუჩის ტაქსებს“ მოგვაშორებენ, კლიენტურა გაგვეზრდება, შემოსავალიც მეტი გვექნება, კერძო კომპანიებს შორის კონკურენცია გაიზრდება, მეტად განვითარდებით და ცხადია, ლიცენზირების მოსაკრებლის გადახდასაც შევძლებთ“.

პერიანისი

თბილისი მსოფლიოს 53 ლამაზ ქალაქს შორის დასახელდა

„50-ზე მეტი ლამაზი ქალაქი, რომელსაც ერთხელ მაინც უნდა ეწვიო“, — ამ სათაურით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ინტერნეტურნალი Architecture And Design ფოტორეპორტაჟს ამზადებს. ამსტერდამის, ლონდონის, ნიუ იორკის, სიდნეის, ბარსელონასა და სხვა ქალაქებს შორის თბილისიც დასახელდა. მსოფლიოში ტურისტებისთვის მიმზიდველ ქალაქებს შორის საქართველოს დედაქალაქს 31-ე ადგილი უკავია. Architecture And Design-ის ვებგვერდს კვირის განმავლობაში 12 მილიონზე მეტი მკითხველი სტუმრობს. Facebook-ში ჟურნალს 20 მილიონამდე მონივნება აქვს.



„პირველი“

გიორგი ღონდაძის მკვლელობის საქმე უკრაინის ბენეკალურ პროკურორს პირად კონტროლზე აჰყავს



ვიქტორ შოკინის განმარტებით, უკრაინის მკვლელობის შემკვეთების გამოვლენაზე ახალი საგამოძიებო ჯგუფი იმუშავებს. გენერალური პროკურორი დარწმუნებულია, რომ ახალი გუნდი დამკვეთების ვინაობას დაადგენს: „დარწმუნებული ვარ, ახალი გუნდი, რომელიც უკვე დაკომპლექტებულია არამხოლოდ შემსრულებლებს, არამედ დამკვეთებსაც დასახელებს. ღონდაძის საქმეს პირადად გავუწევ კურიერებას. მე მას ვიცნობ“.

ქართველი უკრაინისტი გიორგი ღონდაძე 2000 წელს შემოდგომაზე უკრაინაში მოკლეს. 2008 წლის 15 მარტს კიევის სააპელაციო სასამართლომ უკრაინის შსს-ს სამი თანამშრომელი — ვალერია კოსტენკო, ნიკოლაი პროტასოვი და ალექსანდრ პოპოვიჩი საქმეზე დამნაშავედ სცნო და თავისუფლების 10-დან 13 წლამდე აღკვეთა მიუსაჯა. ღონდაძის მკვლელობაში კიდევ ერთი ბრალდებული შსს-ს ყოფილი გენერალი ალექსეი პუნაკი 2005 წლიდან იძებნებოდა. ის 2009 წელს დააკავეს, სასამართლომ კი 2013 წელს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

„პირველი“



უკრაინა მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადგიშვილის ექსტრადიკაციას უარს ახსნა

საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, პროკურატურამ უკრაინას ექსპრეზიდენტისა და იუსტიციის ყოფილი მინისტრი დაკავებისა და ექსტრადიკაციის შესახებ შუამდგომლობით მიმართა: „უკრაინასა და საქართველოს შორის ძებნილ პირთა ექსტრადიკაცია ხორციელდება „ექსტრადიკაციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციით, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ“ მინსკის 1993 წლის კონვენციითა და „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოსა და უკრაინის შორის 1995 წელს დადებული ორმხრივი ხელშეკრულებით. ხსენებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად განიხილონ და გადასცენ ერთმანეთს ძებნილი პირები. შესაბამისად, ვინაიდან მიხეილ სააკაშვილსა და ზურაბ ადგიშვილს საქართველოში წაყენებული აქვთ ბრალდებები და მათ მიმართ გამოცხადებულია ძებნა, ამასთან, ადგიშვილი იძებნება წითელი ცირკულარით და ასევე, ვინაიდან მოპოვებული ინფორმაციით ხსენებული პირები იმყოფებიან უკრაინაში, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უკრაინის გენერალურ პროკურატურას მიმართა ხსენებულ პირთა დადგენა-დაკავებისა და ექსტრადიკაციის შესახებ შუამდგომლობით. მიუხედავად ქვეყნებს შორის ექსტრადიკაციის სფეროში არსებული ზემოთ დასახელებული ვალდებულებებისა, უკრაინის მხარეს მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადგიშვილის საქართველოში ექსტრადიკაციის საკითხზე საქართველოს მთავარ პროკურატურასთან არ უთანამშრომლია და უარს აცხადებს ძებნილი პირების ექსტრადიკაციაზე“.

„პირველი“



შსს-მ ნარკოდანაშაული გახსნა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1976 წელს დაბადებული ბესიკ გ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრევისას 5 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,4853 გრ მეტადონს შეიცავს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

ახალი სტრატეგია კონფლიქტების მოსაგვარებლად



რა სიახლეები გამოიკვეთა ცერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებზე პარლამენტის დროებითი კომისიისა და არასამთავრობო სექტორის შეხვედრაზე

შორენა ჰაკაშვილი
593-17-13-37
ბოლო დროს, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთ საფუძვლად, სამოქალაქო თუ სახელისუფლო სექტორში, ქვეყნის ფედერაციული მოწყობა აქტიურად განიხილება. ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, ყოველთვის ჩნდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და კონფლიქტების დარეგულირების განალხებელი მოლოდინი. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოს კიდევ უფრო მეტი ტერიტორია ოკუპირებული და თითქმის მინიმუმამდე შემცირდა ამ პრობლემის პოლიტიკური გზით მოგვარების რესურსი.

ველად, რადგან „რუსეთმა დიდი ხნის წინ მოიხადა ცისფერი ჩაფხუტი და ხაკისფერი დაიხურა“.
რაც შეეხება მოსკოვსა და სოხუმს შორის ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებას, მისი ანალოგი კრემლმა 18 თებერვალს შესაძლოა ე.წ. სამხრეთ ოსეთთანაც გააფორმოს. შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის ქეთევან ციხელაშვილის შეფასებით, საერთაშორისო რეაგირების თვალსაზრისით ამ დოკუმენტს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მისივე თქმით, 2008 წლიდან დღემდე რუსეთს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონთან 80-ზე მეტი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული და შესაძლოა ამ შეთანხმებებმა პრაქტიკაში ბევრი ვერაფერი შეცვალონ. თუმცა, აღიარებს, რომ შენევაში გამართულ ქართულ-რუსულ მოლაპარაკებებზე, რუსულ დელეგაციას ყოველთვის ჩიხში შეჰყავს დევნილების უსაფრთხო დაბრუნების საკითხი. ხელისუფლების წარმომადგენელთა ოპტიმისტურ განწყობას არ იზიარებენ გალის რაიონში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და ხელისუფლებისაგან მეტ ფინანსურ მხარდაჭერასა და უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერებას ითხოვენ. ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიის“ თავმჯდომარე ალუ გამახარია ამ გამოთქვა იდეა, სამოქალაქო სექტორზე თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის 20-25% გადანაწილდეს, რადგან „სამშვიდობო მოლაპარაკება არ იქნება წარმატებული სერიოზული ფინანსური მხარდაჭერის გარეშე“.
ხელისუფლების თავდაცვითი პოლიტიკის სტრატეგიას იწუნებს და ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების მიმართ არაადეკვატურს უწოდებს ექსპერტი ალექსანდრე რუსეცკი. მისი აზრით, დაუშვებელია ქვეყნის თავდაცვის პოლიტიკა ორიენტირებული იყოს რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში ინტეგრაციაზე. „ქვეყანამ თავდაცვისუნარიანობა მაშინაც უნდა შეინარჩუნოს, როცა არავინ ეხმარება. 2008 წლის ომის დროს სამხედრო დახმარება არ მივიღია. დღეს ვხედავთ უკრაინის მოვლენებს, სხვა ქვეყნები შეიარაღებითაც კი ვერ ეხმარებიან“, — განუცხადა ექსპერტმა „ვერსიას“ და ისიც გაუმხილა, რომ მალე სამხედრო გენერლებთან ერთად შემუშავებულ ახალ სამხედრო სტრატეგიას წარუდგენს პარლამენტსა და შესაბამის სტრუქტურებს. აფხაზეთის შიდა ფედერალიზაცია კი, ალექსანდრე რუსეცკის აზრით, ბელგიის მაგალითზე უნდა განხორციელდეს: „ქართულ პოლიტიკაში არსებული ინტელექტის დეფიციტი სამოქალაქო სექტორთან მუშაობით უნდა შეივსოს“.
ერთგვარი ცივი წყლის ეფექტი ჰქონდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დიმიტრი სანაკოევის გამოსვლას. მან შეხვედრის მონაწილეებს ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარება გააცნო და განაცხადა, რომ მოსახლეობა არც ისე ცუდად გრძობს თავს, როგორც ქართულ მხარეს წარმოუდგენია: „ცხინვალში, 200 მლნ დოლარის ინვესტიცია ხორციელდება. ეს დიდი თანხაა ასეთი პატარა რაიონისათვის. რიგდება ხელფასები, ხორციელდება საინვესტიციო პროგრამები, შენდება გზები, სკოლები, ქალაქის კეთილმოწყობა დაწყებულია, სოფლებში მოსახლეობა თითქმის აღარ არის, მთელი ფინანსური რესურსი მიმართულია ცხინვალზე და მოსახლეობა ქალაქში გადადის“.
დიმიტრი სანაკოევი რუსულ ენაზე საუბრის გამო ბოდიში მოიხადა, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ რუსული ენის იგნორირების გამო, საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებთან ურთიერთობაში ბარიერები შეექმნება. ამ თვალსაზრისით საქართველოში უმაღლეს სასწავლებლებში რუსული, თუნდაც ფასიანი ფაკულტეტების აღდგენა, რათა სტუდენტები სასწავლებლად საქართველოში ჩამოვიდნენ.
ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებზე პარლამენტის დროებითი კომისია არასამთავრობო სექტორთან შეხვედრების გამართვას პერმანენტულად გააგრძელებს.

ისა შორს და თან ახლოს – „ვაკის პარკის“ აფხაზური ნოსტალგია

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

ახალი სიმღერა და კლიპი მუდამ აქტუალურ თემას — აფხაზეთს შეეხება, თუმცა ომს კი არა, იმ უხილავ ძაფებს, რომელიც ჩვენ, აფხაზ და იქ დარჩენილ ქართველებს შორის დღემდე არსებობს, აცხადებს „ვერსიასთან“ საუბრისას „ვაკის პარკის“ სოლისტი ზაზა ხუციშვილი, რომელიც იმედს არ კარგავს, რომ დაკარგული ტერიტორიები აუცილებლად დაბრუნდება, ჩვენ კი ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ენგურსგაღმა დარჩენილებმა იგრძნონ, მარტონი არ არიან.

— გარკვეული პერიოდის წინ სიმღერა დაგვწერე, რომელიც ქალ მომღერალს უნდა შეესრულებინა... ჩანერაც ვცადეთ, მაგრამ რატომღაც არაფერი გამოდიოდა — ხან მომღერლები ვერ ირგებდნენ სიმღერას, ხან მე არ მომწონდა... მოგვიანებით, ჯგუფში ორი გოგონა მოვიდა — ხატია ყურაშვილი და ნათია თოდუა, რომლებიც აფხაზეთიდანაა... სიმღერას არანაირი შედეგიც არ გამოვიდა, თუმცა ნათიამ მაინც ვერ მოირგო — 18 წლისაა, ტექსტი კი ძლიერ ქალზე იყო, რომელიც მიატოვეს, მაგრამ სულით არ გატყდა... როდესაც ნათიას ბაბუამ დაგვირეკა მადლობის სათქმელად, ამ ზარმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა — ის კაცი აფხაზეთში, გალის რაიონში ცხოვრობს და მოხუც მებადურად წარმოვიდგინე, ტექსტიც გადავაკეთეთ და, საბოლოოდ, სიმღერა გამოვიდა აფხაზეთზე, მოხუც მებადურსა და იმ უხილავ ძაფებზე, რომელიც ჩვენს შორის არსებობს. რისი მომტანია ეს სიმღერა არ ვიცი, მაგრამ განწყობა აბსოლუტურად გულწრფელია. რაც შეეხება კლიპს, ის ფოტოკოლაჟით აენწყობა და ისეთ მასალას გამოვიყენებთ, სადაც სწორედ ჩვენი და აფხაზების მეგობრული ურთიერთობებია აღბეჭდილი. კლიპში არ იქნება დადგმული და მერე გათამაშებული სცენები.

— აქციები ენგურის ხიდთან, სიმღერები, სპექტაკლები... ეს ყველაფერი რამდენად უწყობს ხელს ურთიერთობების დასადგენს, ან უხილავი ძაფები, რომელზეც საუბრობ, დღემდე არსებობს?

— შეურაცხყოფელია, თუ ფიქრობ, რომ ხალხი ვერ ხვდება, რასაც აკეთებ, სახელმწიფო პროგრამის ნაწილია თუ გულიდან ამოგლეჯილი სევდა, მწუხარება და ურთიერთობის დათბობის გულწრფელი სურვილი... ერთხელ ჯორჯ მიაკლმა გააკეთა პოლიტიკური ელფერი სიმღერა და დასცინეს, რადგან ადამიანის საპროტესტო ნოტა, რომელიც მთელი ცხოვრება სხვა რამეს აკეთებს, ხალხმა არასერიოზულად აღიქვა. „ვაკის პარკის“ სიმღერებს კარგად იცნობს საზოგადოება, „ბრძოლა წესების გარეშე“, „ახალი დღე“, „საფანტის წვიმა“... ვერაფერი იტყვის ყალბია. ახალ სიმღერაშიც აბსოლუტურად გულწრფელი ვარ და სახელმწიფო პროგრამის ნაწილი ნამდვილად არაა... რაც შეეხება უხილავ ძაფებს, ისინი არსებობს. ბევრი აფხაზი საქართველოში გადმოდის სამკურნალოდ, რაც მიუთითებს, რომ ხვდებიან, სად არის პროგრესი. კი, ბატონო, დაკარგულია ეს ტერიტორიები, მაგრამ ისტორიისთვის რამდენიმე ათეული წელი არაფერია... 70 წელი რუსეთის მონობის ქვეშ ვიყავით, მაგრამ ხომ დავალწიეთ თავი?

— ეგ ცოტა სადავო თემაა... ზაზა, რუსეთი ოკუპანტია?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ამის ძახილით არაფერი იცვლება. რომ გაიძახიან, პოზიცია კარგად ვერ დავაფიქსირეთო, ყველაფერი იცის. არის სანქციები, რომელსაც ევროპა რუსეთის წინააღმდეგ არასოდეს მიიღებს, არც საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთვება. უკრაინაშიც ამბობენ, რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ რა იცვლება? ჩემი აზრით, საქართველოს რუსეთთან უნდა შექონდეს მერკანტილური, პირდაპირ ვთქვათ, ხეირზე ორიენტირებული ურთიერთობები. რომ აღარ მივანოდოთ თუნდაც ლეინო, ამით მარტო ჩვენ დავზარალდებით. ვიძახოთ, პირსისხლიანი რუსეთიო, კი ბატონო, მოგვეფხაჭუნება გულზე და რა, მერე?!


— ქართული ლეინო რომ გადის, გასაგებია, მაგრამ ქართველი მომღერალი რუსეთს ჩემო სამშობლოო, რომ უმღერის, ეს მისაღებია?

— რუსეთში მოთხოვნა ჩვენს მომღერლებზე და ვინც იქ მღერის, ოჯახს ორ კაპიკს უგზავნის, მასთან სასაყვედურო ნამდვილად არაფერი მაქვს. მანუჩარ მარკოვიშვილი ცსკა-ში თამაშობს, ამის გამო მოლაღატედ ხომ არ უნდა შევრაცხოთ. სხვა საქმეა, როცა პუტინის კარის მომღერლები ხდებიან და გუნდურად უკმევენ. ამას წინ, ჯუნა დავითაშვილის კომენტარი ვნახე, რომელიც ამბობდა, იანუკოვიჩსა და მისწინა ადამიანებს სამედიცინო დახმარება არ უნდა აღმოუჩინოთ იმიტომ, რომ რუსეთის მოლაღატეები არიანო... საერთოდ არ მესმის ასეთი ხალხის და მეტიც, მრცხვენი, ისინი ქართულ გვარს რომ ატარებენ. როგორ შეიძლება პუტინს უმღერო — რა დიდებული მოვლენა ხარ, ლმერთმა გამოგვიგზავნა შენი თავიო... საერთოდ, იქ უფრო თავისუფლები არიან მუსიკოსები. შეგწერე, მაკარევიჩიც ღიად უპირისპირდებიან ხელისუფლებას, საქართველოში კი ვინც ხმა ამოიღო, საერთოდ გადაეკეტა ჟანგბადი

— შენც იყავი მათ შორის?

— რა თქმა უნდა... ასეთი ორი შემთხვევა იყო — კერძო სექტორმა მოსსურვა ჩემთან ურთიერთობა, მაგრამ აუკრძალეს. ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობდით. სანამ პრეზიდენტის უფროსი ვაჟის მასწავლებელი ვიყავი, კეთილგანწყობილები იყვნენ, მაგრამ, როგორც კი წამოვედი იქიდან და საკუთარი მოსაზრება დავაფიქსირე, უკვე მიუღებელი აღმოვჩნდი.

რა მიზნით უძღვნის ახალ სიმღერას ზაზა ხუციშვილი აფხაზეთის მოსახლეობასთან მაკაშირებელ უხილავ ძაფებს და რა პრობლემები შეუქმნეს ექსპრეზიდენტს სააკაშვილის შვილის მასწავლებელს



— ოჯახში მიღებული ყოფილხარ და ოპოზიციაში რომ ჩაუდგე, მისი წყენა ლოგიკურია...

— არასოდეს მითქვამს, რომ მისი მხარდამჭერი ვიყავი, არც პოლიტიკური საუბრები გვექონია, არასოდეს მინახავს... მისი წყენაც მესმის, თუმცა ჩემი წამოსვლაც აბსოლუტურად ლოგიკური იყო.

— მაინც როგორ ახერხებდა ვაკის პარკი პოლიტიკისგან გამიჯვნას, არც „წვიმის მუსიკოსებს“ შორის მდგარხართ...?

— ეს ძალიან რთულია... საქართველოში მუსიკოსები თავისი შემოქმედებით უზრუნველყოფილი არ არიან. მაგალითად მიკ ჯაგერი აშშ-ს პრეზიდენტმა ვახშამზე რომ მიიწვიოს, შეიძლება უპასუხო — რამდენიმე თვეში მოვიცლი და დაგირეკავო. თუ პიროვნული სიმპათია არ აქვს რომელიმე დიდ მუსიკოსს პირველი პირის მიმართ, იგნორირებას გაუკეთებს, რაც საქართველოში წარმოუდგენელია. ქართველი მუსიკოსები ცდილობენ, რაც შეიძლება კომფორტულად იყვნენ ამა თუ იმ ხელისუფლებასთან იმიტომ, რომ მათი დაფინანსების ძირითადი წყარო ამაზეა დამოკიდებული. ბაზარი პატარაა და დაფინანსების წყარო ხდება ხელისუფლება ან რომელიმე პოლიტიკური ძალა, შავი ფული, რასაც ბევრი ვერ უძლებს. სამწუხაროდ, დღეს ხალხს ხელფასი და პრემია არ ჰყოფენ... ჩემთვის უდიდესი მაგალითი სამშობლოს მსახურების, ექვთიმე თაყაიშვილია, მისგან უნდა ვისწავლოთ ბევრი რამ და არ უნდა დავუშვათ, ფულმა ჩვენი აზროვნება შეცვალოს. როდესაც ანდრო ჭიაურელი დამირეკა, მითხრა, ფილმს ვიღებ ექვთიმე თაყაიშვილზე, უბედნიერესი ადამიანი ვიყავი, რადგან მთხრობულად კასტინგით შემარჩიეს და არა პირადი სიმპათიის გამო. ექვთიმე უდიდესი მამულიშვილი იყო, მსგავსი მინაგანი კოდესის მქონე ადამიანი საერთოდ არ მეგულეა და სამწუხაროა, რომ სკანდალურ, გომობაზე აწყობილ გადაცემებს უამრავი მაყურებელი ჰყავს, „ექვთიმეს“ კი ყურადღება არც მიაქცევენ. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაუშვა მხოლოდ და ისიც ორად გაყო. ეს უკვე ერის დეგრადაციაა... — **ერს აღარ აქვს შინაგანი კოდესი?** — რა თქმა უნდა, წესიერება სანთლით საძებარი გახდა...

უნესკო ადამიანები კი წესიერ ქვეყანას ვერ ააშენებენ. ჩვენ გვინდა, დამნაშავეები საქართველოს ფარგლებს გარეთ ვიპოვოთ, მაგრამ ასე არაფერი გამოვა... თავისი ბუნაგი და ალაგი მგელსაც უყვარს მანამ, სანამ საქმელი აქვს, მაგრამ, როგორც კი საკვები გამოელევა, მიატოვებს. ჩვენი ქვეყნის მოვლა და პატივისცემა უნდა ვისწავლოთ...

— **იმედგაცრუებული ხარ?** — 90-იანებში სხვანაირი განწყობა მქონდა, მეგონა, თავისუფლებას რომ მოვიპოვებდით, ყველაფერი ადვილი იქნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

— **უცხოეთში წასვლაზე არ გიფიქრია?** — არა, ყველა რომ წავიდეს, ვინ იმღერებს ქართულად, როგორ განვითარდება შოუბიზნესი?

— **შოუბიზნესის განვითარებაზე საუბარი, ცოტა პარადოქსული არაა? მეგონა, დიდი ხნის წინ დასამარდა საქართველოში...**

— ასე არ მიმაჩნია, თუნდაც ის, რაზეც წლების წინ ვსაუბრობდი, ცოცხალი შესრულება იქნება თუ გემოვნების ჩამოყალიბება, ნელ-ნელა მკვიდრდება... ძალიან კარგია, სატელევიზიო პროექტებიც, ჩნდება ახალი სახეები.

— **გამიჯვნული კი საპაცილო ადგილს იკავებს რესტორანში, არა? — არც იმის გარანტია არსებობს, რომ დიდ ღონისძიებებზე დაუძახებენ, თუნდაც სამთავრობო კონცერტზე...**

— „...ვაკის პარკი“ ოცი წლის ხდება და შემოიძლია დავიფიცო, არც ერთ სამთავრობო კონცერტში, ამ ხნის განმავლობაში მონაწილეობა არ მიგვილია. ღმერთმა დაგვიფაროს, ამაზე ვიყოთ დამოკიდებული.

— **არც წლევეანდელ საახალწლო კონცერტში მიუწვევინხართ?**

— არა და მიუხედავად იმისა, რომ მეც ისევე, როგორც ბევრი ადამიანი ამ მთავრობის მომხრე ვიყავი და ღიად ვუჭერდი მხარს, ნამდვილად არ დამიწყია წუნწინი, აქა და აქ მამღერეთ-თქო.

პერსონაჟი

ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართულ მიწებს აუშავებენ

მიტაცებულ ფართობებზე მომუშავე ტრაქტორებს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ აძვის მაცხოვრებლები თვალს რამდენიმე მეტრიდან ადევნებენ.

მათ კუთვნილ ნაკვეთებს რუსეთის მესაზღვრეებმა მეთულხლართები შემოავლეს და მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილება შეუზღუდეს.

ადგილობრივების განმარტებით, ოკუპანტებმა ხეხილის ბაღები გაჩეხეს, მინა მოასუფთავეს და საგაზაფხულო სასფლო-სამუშაოებისთვის ნიადაგს ამუშავეს.

აძვის მოსახლეობის ნაწილი, რომელთა მინის ფართობები ოკუპირებულ ზონაში მოექცა, ხელისუფლებას დახმარებას და ალტერნატიულ ფართობებს სთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში იფიქრობენ, რომ ისინი საარსებო წყაროს გარეშე დარჩებიან. ანტილოკორ საფრთხეზე საუბრობს ჯარიაშენის მოსახლეობა, სადაც ფართობების შემოღობვა რუსმა „მესაზღვრეებმა“ რამდენიმე დღის წინ დაიწყეს და ამ დრომდე გრძელდება. ახლადოკუპირებულ ტერიტორიებთან მდებარეობს სოფლის სასაფლაოც.

ენ. მოსაზღვრე სოფლებში მაცხოვრებლები დამატებით ქართული საგუმავს გახსნასაც ითხოვენ, სხვა შემთხვევაში მიიჩნევენ, რომ დარჩენილი ნაკვეთების დამუშავებაც კი გაუჭირდებათ.

სოფელ ჯარიაშენსა და აძვს ოკუპირებული სოფელი არცევი ესაზღვრება, სადაც რუს „მესაზღვრეებს“ სამხედრო ქალაქი აქვთ გახსნილი. ქართულ სოფლებში მაცხოვრებლები მათ პატრულირებას შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ამჩნევენ, ამჟამად კი მათ ტექნიკას საკუთარ მინის ნაკვეთებში ხედავენ.



„პირველი“



ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

4x4 grid puzzle with numbers 1-9.

4x4 grid puzzle with numbers 1-9.

4x4 grid puzzle with numbers 1-9.

4x4 grid puzzle with numbers 1-9.



ჩანთა და ქალის ხასიათი

იტალიელი მამაკაცები და ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ქალის ჩანთას ყველაზე დიდი ინფორმაციის მინოდება შეუძლია მის პატრონზე. მნიშვნელობა აქვს ქალისთვის ამ აუცილებელი აქსესუარის ფორმასაც და მის შიგთავსსაც. თავის დროზე, ფსიქოლოგის „მამა“ ზიგმუნდ ფროიდი ამტკიცებდა, რომ მშვენიერი სქესი ქვეცნობიერად აიგივებს ჩანთას სხეულის ინტიმურ ადგილებთან. ფროიდი აქ, ალბათ, უკვე აჭარბებდა, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩანთას ქალისთვის მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. რა შეიძლება გავიგოთ მისი მეშვეობით? მაგალითად, თუ ახალდაცნობილ მამაკაცთან საუბრის დროს ქალმა მოულოდნელად ჩანთაში ქექვა დაიწყო, ესე იგი, მოსაუბრე მოსწყინდა და ერთი სული აქვს, მოშორდეს მას. თუ მანდილოსანს ეს აქსესუარი საკმაოდ დემონსტრაციულად უკავია, ესე იგი, ძალიან თავდაჯერებულია და მიდის შეხვედრაზე, რომლისგანაც სიამოვნებასა და კმაყოფილებას ელის.

თუ ქალი ხელჩანთას ახალდაცნობილი მამაკაცის სიახლოვეს დადებს ან სთხოვს, ცოტა ხნით მაინც დაუკავოს, ესე იგი, ეს მამაკაცი მოსწონს. ხოლო თუ სუსტი სქესის წარმომადგენელი ხშირად იცვლის ჩანთას, ესე იგი, პრობლემა აქვს საკუთარ თავთან და „მეს“ ეწინააღმდეგება. პატარა ზომის ჩანთები მოსწონთ რაციონალურ, ეკონომიურ და ანგაროშიან ქალებს. საშუალო ზომის ხელჩანთას ანიჭებენ უპირატესობას რეალისტი, ჯანსაღი თვითშეფასებისა და სტაბილურობის მოყვარული მანდილოსნები. ხოლო დიდი ზომის აქსესუარს ისინი ირჩევენ, ვინც მიდრეკილები არიან სტრესისკენ, აქვთ დაუცველობის განცდა და სურთ, სოციალურ სესამჩნევები იყვნენ. ფსიქოლოგები იმასაც ამბობენ, რომ როცა ქალი თავისი ცხოვრების სტილს იცვლის, აუცილებლად ცვლის ჩანთის ზომასაც.

ბრიტანელებმა მფრინავი სავაჭრო შექმნეს

უახლოეს თვეებში დიდი ბრიტანეთის მალაზიებში გაყიდვაში იქნება სავაჭრო, რომელიც ადამიანს სახლის პირობებში უწონობის მდგომარეობას განაცდევინებს. ახალი ავეჯის გამომგონებელი ქეით დიქსონი ამტკიცებს, რომ ამ სიახლეზე შეკვეთებს უკვე მთელი მსოფლიოდან იღებს. სავაჭრო, რომელსაც „ლუნგერი“ უწოდებს, გამჭვირვალეა და მასზე მაგნიტები მიმაგრებული. ისინი საშუალებას აძლევს სავაჭრელს, სადგამიდან 35 სანტიმეტრის სიმაღლეზე აინოს. ახალ სავაჭრელს შეუძლია 120-კილოგრამიან ადამიანს გაუძლოს. მისი დიზაინი კი 4 წლის განმავლობაში მუშავედბოდა და ათობით ათასი დოლარი დაჯდა. დიქსონი ამტკიცებს, რომ ასეთი უჩვეულო ავეჯის შექმნისკენ „ვარსკვლავური ომების“ სატრანსპორტო საშუალებამ უბიძგა. სავაჭრის ნეგატიურ მხარეს წარმოადგენს მაგნიტური ველების გავლენა სატელევიზიო სიგნალზე, ასევე მათ შეუძლიათ საკრედიტო ბარათების მუშაობაც შეაფერხონ.



„ფულის წვიმა“ ინდონეზიაში

ბიზნესმენმა ტუნგ ვარინჯინმა თვითმფრინავიდან, რომელიც დედაქალაქ ჯაკარტასთან ახლოს მიფრინავდა, 100 მილიონი რუპია (დაახლოებით 11 ათასი დოლარი) გადაყარა. მისი თქმით, ეს „ფულის წვიმა“ მარკეტინგის შესახებ მისი ახალი ნიგნის საუკეთესო რეკლამა იყო. ვიდრე ტუნგის თვითმფრინავი ჰაერში ოთხ წრეს გააკეთებდა, მინდორზე დიდი ჭყლეტა გაიმართა. ინდონეზიელები, რომლებმაც ბიზნესმენის განზრახვის შესახებ შეიტყვეს, ერთმანეთს არ აცდიდნენ გადაყრილი ფულის აკრეფას. ამ უჩვეულო აქციის დროს რამდენიმე ადამიანი დაშავდა კიდევ. როგორც თავად სარეკლამო „ტრიუკის“ ავტორი აცხადებს, „ფულის წვიმის“ მოწყობა მას დედაქალაქ ჯაკარტაში სურდა, მაგრამ სამართალდამცავებმა განზრახვაზე კატეგორიული უარი განუცხადეს.



წინა ნოვერში გასული სკანდინავიისა და სუდოკუს პასუხები

4x4 grid puzzle solutions for 'ადვილი'.

4x4 grid puzzle solutions for 'სტანდარტი'.

4x4 grid puzzle solutions for 'რთული'.

4x4 grid puzzle solutions for 'ექსპერტი'.

- მე-10 გვერდი: 1. ინცესტი; 2. ნეპოტიზმი; 3. ემალი; 4. ტამი; 5. თბილისი; 6. ბერეიტორი; 7. ლამპიონი; 8. სელი; 9. ოპტაცია; 10. ელი; 11. ნაირობი; 12. ვერფი; 13. პრომილე; 14. სრა; 15. მცენარე; 16. სინჯარა; 17. მისია; 18. ბზიფი; 19. ლი; 20. ვინიეტი; 21. ტროცკი; 22. ოგიგია; 23. ნამაზი; 24. იოანე; 25. ჯინი; 26. დინასი; 27. ფალანგა; 28. ამფორა; 29. მაგნოლია; 30. ზედორფი; 31. გავოტი; 32. ორი; 33. აიაზმა; 34. სეგრეცია; 35. არე; 36. რურკი; 37. დიალოგი; 38. ეტნა; 39. სან; 40. ნოდარი; 41. ციცარი; 42. რაბი; 43. ონეგინი; 44. ოვაცია; 45. ფაუ; 46. გამა; 47. ეტი; 48. ამორელი; 49. ელა; 50. სულუ; 51. დალანდი; 52. აკა; 53. „რომა“; 54. მარაო; 55. დაირა; 56. ელ; 57. დენი; 58. რომანსი; 59. ბუა. მე-12 გვერდი: 1. სატაცური; 2. ავტგერი; 3. საკურა; 4. ტარაკანი; 5. ცაიტნოტი; 6. გალიუნი; 7. ტიგროსი; 8. რონა; 9. აკორდი; 10. ემანსიპაცია; 11. ნეკერი; 12. ლაგუნა; 13. ტეტანუსი; 14. ჰარაკირი; 15. ტოფუ; 16. ტონა; 17. სეფა; 18. ლამა; 19. ტირი; 20. პრინცესა; 21. რაიონი; 22. ავა; 23. ბანი; 24. ვაზელინი; 25. იოსები; 26. ვოტუმი; 27. ნეი; 28. სორვინი; 29. სემ სმიტი; 30. ბუსიდო; 31. პაი; 32. ოსმოსი; 33. ბრანდო; 34. სან; 35. ხორბალი; 36. ბანზაი; 37. ოაზისი; 38. ბილიკი; 39. ანდრომედა; 40. ცეცე; 41. ბოსი; 42. როდოსი; 43. კიი; 44. ოდოია; 45. მორხე; 46. მაო; 47. უალიაგა; 48. აგილერა; 49. რეა; 50. სია; 51. ზილი; 52. პილატი; 53. მიოპია; 54. რამი; 55. ნავი; 56. ტირადა; 57. გნუ; 58. ვია; 59. ლოპრი; 60. რკო; 61. ფრონე; 62. შნაფსი; 63. მაია; 64. სიმდი; 65. კაბო; 66. მარო; 67. „აეკი“; 68. მარაო; 69. იდია; 70. კამეა; 71. ჯონ; 72. ეფა; 73. მეაცა; 74. რაფა; 75. დუ; 76. ფაი; 77. საგარეჯო; 78. დასტა; 79. ოფი; 80. მადამ; 81. თმა; 82. ბარაკონი; 83. არეოპაგი; 84. ენი.

პერლის ბზრლას მრსომილუმი სლილოპენ



იაპონიის მალაზიებში ცოტახნის წინ გამოჩნდა ტუბილური cup cookies, რომელიც მანდილოსნების მკერდის გაზრდისთვისაა განკუთვნილი. ორცხოობილის მწარმოებელი მსურველებს არწმუნებს, რომ საკმარისია დღეში მხოლოდ ორი ცალი „პეჩენია“ მიირთვან და მალე ახალი, უფრო დიდი ზომის ბიუსტპალტერის საყიდლად გაეშურებინ. ასეთი ეფექტი პროდუქტში პუერარის (pueraria Mirifica) ექსტრაქტის არსებობით აიხსნება. ეს მცენარე შეიცავს ნივთიერებებს, რომელიც ჰორმონ ესტროგენის მსგავსია. ორცხოობილა გაყიდვიდან ორიოდე თვეში წარმოდგენილად პოპულარული გახდა ამოზავალი მზის ქვეყანაში, თუმცა, ალსანიშნავია ისიც, რომ ამ ექსტრაქტის ზემოქმედება ორგანიზმზე ჯერჯერობით მეტწილად შესწავლილი არ არის. მედიკოსების აზრით, ახალი „პეჩენიის“ მოყვარულები, უბრალოდ, წონაში იმატებენ, რის გამოც მკერდც იზრდება.

1. მცენარის უფრედის გარისის შემადგენი ნივთიერება						2. ჭადრაკის ფიგურა, რომელიც ცხენის თავს წარმოადგენს									
3. მანათობელი მწერი	4. მცირე-ალკოჰოლიანი სასმელი	5. ელკანიდან ამოფრქვეული გაფარვარებული მასა								6. ნოდარ დუმბაძის მოთხრობა	7. ბურთის ოსტატურად ტარება ფეხბურთში	8. მოკრძალება, მორიდება			
9. ხასიათი, ნირი	10. ამერიკელი თეორიკანიანი რეპერი	11. ლიტონის დედაქალაქი								12. საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელი	13. ტროს მთრე სახელწოდება	14. ვახტანგ გორგასლის ვაჟი			
		15. ოდისესის ლათინური-რეზული სახელი		16. ვადამდ-ნარი კარაქი								17. კავკასიის მთიულთა სოფელი			
18. სივარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში					20. ბუბლიკის ქართული სახელწოდება									21. ცნობილი კუბიკის გამოგონებელი	
22. დედლოსის ურჩი ვაჟი										23. ლექსის სახელწოდება	24. ქართლის "გული"				
		25. ბოჭკოვანი მცენარე	26. ძვლები-ნული ენა					27. რაიმე ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი		28. (ძვ.) ოცკაბიანი მონეტა				29. მონარქიული ქვეყნების კატეგორია	
					30. მდინარე ურალის ძველი სახელწოდება			31. ისრაელის პარლამენტის სახელწოდება				32. კუზანი ხარი			
	33. მარგარიტა გოტიეს საყვარელი ყვავილი	34. ფინეთის ერთ-ერთი ტბა	35. ერთგარი გრავიურა ლითონზე					36. სელის გული თითუ-ბიანად				37. მეტყველების ნაწილი	38. კომონის შესაყარვი ქამარი		
	39. მდინარე მონღოლეთში	40. რაჭის "დედაქალაქი"			41. პურის ჭამა დილით							42. მდინარე ლონდონში			
				43. ახალ-ზელანდიური უფრო ფრინველი				44. სელმ-ღვანელი, უფროსი		45. სამეურნეო მუშაკი				46. ფუტკრის სახლი	
	47. აშშ-ის კოსმოსური სააგენტო			48. უდიდესი ძველბერძენი მოქანდაკე					49. ერთეულოვანი ვექტორი	50. მღვდლის სამოსლის ნაწ.	51. მდინარე მიწისქვეშა სამეფოში ბერძ. მით.	52. მორებისა-გან შერეული სამდინარო ტრანსპორტი	53. "მტი-რალა" ხე		
				54. ნახევარ-კუნთული მც და აზოის ზღვის შორის											
55. შექსპირის რომეოს გვარი	56. პარიზის ერთ-ერთი სიმბოლო	57. მთიანი მხარე სამხრეთ რუსეთში	58. ალ. მაკედონელის მემკვიდრე სარდლები	59. დიდი გერმანული დრამატურგი									60. ფრანგი ფერმწერი	61. ელექტრული განმუხტვა ატმოსფეროში	
		62. ადამიანის სამეტყველო ორგანო						63. გასულ წელს ანუ ...	64. გასართობი ატრაქციონი						
65. პარაზიტი მწერი, მკბენარი			66. იგივე, რაც ლაწვი	67. დიზანი - კარდენი	68. სიმინდის ყვავილი	69. წიწვოვანი მცენარე					70. დიდი ჩაქუჩი	71. სვეტებიანი გალერეა	72. ტყავის ჭურჭელი ღვინისათვის		
			73. ვარშავის საფეხბურთო კლუბი				74. მომთაბარე ინდიელთა გადასატანი კარავი	75. მოკლე აკროლი ყურძნის წველმტვე-ნიანი რქა							
76. იგივე ხელმოწვევა					78. საოჯახო ელექტრო-სელსაწყო					79. სისქლის აღრევა	80. ორიანი კამათოლ ხე	81. ჩინური-იაპონური შამი			82. ცოლილი მწერი უმბერტო ...
77. სოფ. წყალ-ტუბის რ-ში															
								83. სუსტი ქარი, ნიაფი				84. სპილ-ბერგის უცხოპლა-ნეტელი			
85. მეშხანი, ობიგატელი	86. გაზაფხულის ყვავილი	87. საფრანგეთის ძველბურთი ხურდა ფული	88. რუსული შოუბიზნესის ვარსკვლავი							89. ექსკურსი-ამ-ძლილი				90. დაკო-დლი ცხენი	



ბედნიერება 25-ე წოდება მიუტანა



49 წლის ნეპოლემა მტვირთავმა რამანჩანდრა კატუვალმა განაცხადა, რომ 24 წარუმატებელი ქორწინების შემდეგ, როგორც იქნა, ოჯახური ბედნიერება ჰპოვა ახალ ცოლთან ერთად. ნეპალელმა და მისმა მეუღლემ შარადამ ცოტა ხნის წინ ბედნიერი ქორწინების შეიძინეს ალნიშნეს. მანამდე კი კატუვალის ცხოვრება არაფრით აენციო. პირველად 26 წლის ასაკში დაქორწინდა. მაგრამ მალე მისი ცოლი საყვარელთან ერთად გაიქცა. მას შემდეგ წარუმატებელი ახალი კავშირები ერთმანეთს ცვლიდა, ყოფილ ცოლთან ზოგი ანალოგიურად მოიქცა, ზოგსაც თვითონ კატუვალი დაშორდა. ასე, 16 წლის განმავლობაში ნეპალელმა 24 ქალზე დაქორწინება მოასწრო, თუმცა, მისივე თქმით, მათგან მხოლოდ 9 ახსოვს კარგად. როცა 24-ე მეუღლემაც მიმტოვა, გადაწყვიტე, აღარასოდეს დაქორწინებულიყავი, ამბობს კატუვალი. მაგრამ როცა 23 წლის შარადას შეხვდა, ცდუნებას ვერ გაუძლო და კიდევ ერთხელ სცადა ოჯახის შექმნა. როგორც ჩანს, ამჯერად გაუმართლა.

ვერსია
 მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
 e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
 UDC(უპკ)070.48:32(479.22)3-387

დაგვუძნებელი და მითაგარი ომბატორი
 მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
 პასუხისმგებელი ომბატორი: ნინო ლურსმანაშვილი
 მმდიაჯბუში: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
 გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
 სტილისტი - ნინო ებანოძე
 დიზაინერი - გიორგი ლომსაძე
 ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
 რედაქციაში შემოსული
 მასალები უკან არ ბრუნდება.
 სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
 და ინფორმაციის სიზუსტეზე
 პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
 შემთხვევაში დაგვიკავშირდით
 14 დღის განმავლობაში.